ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 აპრილი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 63 (10 232) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასაწყისი...

## რაგბიში ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის შედეგები



**„ა“ ქვეჯგუფი**

**31 მარტი. „აია“ (ქუთაისი) — სამხატვრო აკადემია (თბილისი) — 43:0 (19:0).**

თამაშს წინ უძღოდა ეროვნული ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. ქალაქის მთავარი სტადიონის სარაგბო მოედნის კოხტა ტრიბუნებზე შეკრებილი რამდენიმე ათასი მაყურებელი მხიარული ყიჟინით შეეგება ქართული ეროვნული დროშის აღმართვას, შემდეგ კი მორაგბეებმა და გულშემატკივრებმა ერთად იმღერეს და თამაშიც დაიწყო.

დასამალი არაფერია: მთელი სარაგბო საზოგადოებრიობა შიშობდა, ემანდ, „აიამ“ აკადემიელთა აღდგენილი გუნდი დიდი ანგარიშით არ დაამარცხოს და რაგბის თამაშის ხალისი მთლად არ დააკარგვინოსო. მაგრამ თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავიდანვე ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს საუკეთესო შემადგენლობით მოასპარეზე სახელმოხვეჭილ მეტოქეს, არაფერი დაუთმეს და მთელი 17 წუთი „აიას“ ქულა არ აალებინეს. მეტიც, ერთ მომენტში აკადემიელმა ნ. წიკლაურმა ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო უხეიროდ დაარტყა და სტუმრებმა დაწინაურების შანსი გაუშვეს ხელიდან.

მერე და მერე, აკადემიელთა თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, და რაგბის ლოგიკის შესაბამისად, ანგარიშმა „აიას“ სასარგებლოდ იწყო ზრდა. სულ ამ დღეს მასპინძლებმა რვა ლელო გაიტანეს (ნაჭყებიამ, გეგუჩაძემ, ქორქოლიანმა, ფხაკაძემ, ქ. გაბრიჩიძემ, რეხვიაშვილმა, ოდიშარიამ, ისაკაძემ), რომელთაგან გარდასახეს მხოლოდ ოთხი (ორი — ტყაბლაძემ, თითო-თითო — ლილუაშვილმა და ე. ძაგნიძემ). გარდა ამისა, ლილუაშვილმა შეაგდო ერთი საჯარიმო.

დიდი ანგარიშის მიუხედავად, თამაშმა ყველაზე ერთობ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ამიტომ იყო, რომ მატჩის შემდეგ მაყურებლებმა მოთამაშეებს სათანადო პატივი მიაგეს, გუნდებმა კი ერთმანეთს მადლობა მოახსენეს ვაჟკაცური, ალალი ბრძოლისათვის. ამ მატჩის მაგალითზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული ჩემპიონატის გამართვის იდეამ უკვე გაამართლა.

**1 აპრილი. თბილისი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი. სსი „შევარდენი“ — ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 6:16 (0:16).** სამი თვის წინ ამავე გუნდების უაღრესად დაძაბული შეხვედრა შევარდენელებმა ხუთი ბურთის სხვაობით მოიგეს. ამჯერად პოლიტექნიკოსებმა მეტოქეს სამაგიერო გადაუხადეს და ექვსზე მეტი ბურთის სხვაობით გაიმარჯვეს, რის გამო „შევარდენს“ არ მიენიჭა ის ერთი ქულაც, „ღირსეულად“ წაგებისთვის რომაა დაწესებული.

შეხვედრის პირველსავე წუთზე მასპინძლებს ანგარიშის გახსნის ნაღდი შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ უხეიროდ გაითამაშეს ხუთმეტრიან შერკინებაში მოგებული ბურთი. მალე ვითარება შეიცვალა: სტუ-ს შერკინების შემკვრელმა კახა კობახიძემ თავისი ნახევრის ათმეტრიანი ხაზიდან, ე. ი. 55 (!) მეტრიდან, შეაგდო საჯარიმო. ორიოდე წუთის შემდეგ მანვე დიდებულად შეუტია შერკინებიდან, გაარღვია დაცვის ხაზი და ლელოსთან წამოსწრებულ ფრთის მორკინალ ზაზა ლეჟავას დროულად გადასცა ბურთი. კობახიძემ თავად გარდასახა ეს ლელო, კიდევ ათი წუთის შემდეგ კი მოედნის შუა ხაზიდან (45 მეტრიდან) მეორედაც შეაგდო საჯარიმო — 0:12. აქ „შევა-

იხ. მე-2 გვ.

# ოქროს მედალი ვლადიმერ გაბრიჩიძეს

**ცოტა** უცნაური კია, რომ ცენტრალურმა პრესამ ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში თბილისელი ჩოგბურთელის ვლადიმერ გაბრიჩიძის გამარჯვება (ეს ტურნირი, როგორც ცნობილია, ჩატარდა კრასნოიარსკში ქვეყნის უძლიერესი სპორ-



ტსმენების — ჩესნოკოვის, ჩერკასოვის, ვოლკოვისა და სხვათა მონაწილეობის გარეშე) სენსაციათა რიცხვს განაკუთვნა. უცნაურია იმიტომ, რომ ტურნირის დაწყებამდე გაბრიჩიძეს, ისევე, როგორც მეორე თბილისელ ჩოგბურთელს დავით კაჭარავას, ფავორიტთა შორის ასახელებდნენ. მაგრამ ამას, ბოლოს და ბოლოს, პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ ვლადიმერმა ფინალურ ორთაბრძოლაში შედარებით ადვილად დაამარცხა მინსკელი სამეცი (6:2, 6:3) და ზამთრის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ კიეველი რიბალკო და რიგელი შტრომბახი, სწორედ ის შტრომბახი, რომელმაც ერთი ტურით ადრე ტურნირიდან გამოთიშა კიდევ ერთი ფავორიტი ს. სკაკუნი. შტრომბახი ამჯერად მოსაგებად იყო განწყობილი და პირველი პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა კიდეც — 6:4. მაგრამ შემდგომში ძალა აღარ ეყო, ზედიზედ ორი პარტია დათმო (4:6, 3:6) და ბრინჯაოს მედალი მეტოქეს დაუთმო.

ვლადიმერ გაბრიჩიძეს, ალბათ, შეეძლო დუბლის გაკეთება და დავით კაჭარავასთან ერთად წყვილთა თანრიგშიც გამარჯვება, მით უფრო, რომ გაბრიჩიძე სწორედ წყვილთა თამაშის ოსტატად ითვლება და უმაღლეს საკავშირო ტიტულს ამ თანრიგში ხუთჯერ ფლობდა. მაგრამ ქართული დუეტი დამარცხდა ერევნელთა წყვილთან (შელაჯიან-სარგსიანი) და ასპარეზობას გამოეთიშა. ჩემპიონატის სენსაცია სწორედ ეს გახლდათ. გაბრიჩიძემ და კაჭარავამ ამ მარცხით გულდაწყვეტილებმა უარი თქვეს მესამე ადგილისათვის ბრძოლაზე და საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.

ჩემპიონის ოქროს მედლები კი სწორედ ერევნელმა ჩოგბურთელებმა დაიმსახურეს, რომლებმაც ფინალში ხარკოველებს — პონომარსა და კოსტინს აჯობეს.

სურათზე: ვ. გაბრიჩიძე.

# გამარჯვებულთა შორისაა გიორგი ივანიშვილი

**შვეიცარიის** ქალაქ ვევეში დამთავრდა თავისუფალი სტილის იუნიორ მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ ექვსი პირველი და ერთი მეორე ადგილი დაისაკუთრეს. გამარჯვებულ სპორტსმენთა შორის არის ჩვენი თანამემამულე გიორგი ივანიშვილი, რომელიც უძლიერესი გახდა 74 კგ. წონით კატეგორიაში.

პირველი ადგილები მოიპოვეს, აგრეთვე, მოსკოველებმა ილვარ აბდულაევმა (52 კგ) და ჰასან ჰასანოვმა (57 კგ), ჰასივიურტელმა ოლხაზუ ბუხტაროვმა (62 კგ), ორჯონიკიძელმა რუსლან ხუმაროვმა (82 კგ) და არზამასელმა სერგეი კოვალევსკიმ (90 კგ).

შეჯიბრებაში საბჭოთა ათლეტების გარდა მონაწილეობდნენ გდრის, საბერძნეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, იტალიის, პოლონეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.



გიორგი ივანიშვილი.

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რეგისტრაციაში გაატარეს

**საქართველოს სსრ** მინისტრთა საბჭომ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდება, მოიწონა მისი მუშაობის გეგმები და გამოთქვა რწმენა, რომ ისინი წარმატებით შესრულდება და ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის შემდგომ განვითარებას.

# კვლავ კახა წაქაძე

**წელს** უკვე მერამდენედ ვწერთ ჩვენი შესანიშნავი მხტომელი მოთხილამურის კახა წაქაძის წარმატებაზე. და აი, ნიჭიერმა ბაკურიანელმა „მფრინავმა მოთხილამურემ“ ამჯერად ფინეთის ტრამპლინზე იასპარეზა, სადაც ევროპის თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი ჩატარდა. იგი მერვე იყო კონტინენტის უძლიერეს მხტომელებთან ჭიდილში.

# ხსოვნის დღე მუზეუმში

**5 აპრილს** თბილისის სპორტის სასახლესთან არსებულ ქართული სპორტის დიდების მუზეუმში 11 საათიდან აღინიშნება გარდაცვლილ სპორტსმენთა ხსოვნის დღე.

# ვულოცავთ გამორჩეულ ავტორებს

**ადრე** ხშირად გაიგონებდით, რომ მწერლები და ჟურნალისტები ვალში არიან ქართული ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წინაშე. თუ „ვალის“ საზომად შედარებას ავიღებთ, მაშინ ბოლო ორი ათწლეულის შედეგებით მაინცდამაინც ცუდად არ გვქონია საქმე. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა ქართულ ენაზე 1970-1989 წლებში გამოცემული სპორტული ლიტერატურის გამოფენა-კონკურსი მოაწყო საქართველოს სპორტსახკომმა, რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ და საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ.

## კონკურსის შედეგები

**მხატვრულ-ბიოგრაფიულ და ილუსტრირებულ ლიტერატურაში პრემიები ასე განაწილდა:**

პირველი პრემია (300 მანეთი) მიენიჭა **არჩილ გოგელიას** წიგნებისათვის „ასეთია სპორტული ცხოვრება“, „მუშკეტერები“;

მეორე პრემია (200 მ.) მიენიჭა **თენგიზ გიორგაძეს** წიგნებისათვის „ნიჭის ახალი აფეთქება“, „ცხოვრება ვიქტორ გოგლიძისა;

მესამე პრემია (100 მ.) მიენიჭა **ვიქტორ ხანეევს** წიგნისათვის „მეოთხე სიმაღლე“.

**სპორტულ ლიტერატურაში პრემიები მიენიჭათ:**

პირველი პრემია — **პაატა ნაცვლიშვილს** (300 მანეთი) წიგნისათვის „ოლიმპიური ჩემპიონის თეორემა“;

მეორე პრემია — **ავთანდილ ციბაძეს** (200 მ.) წიგნისათვის „ეპიზოდები სპორტული ცხოვრებიდან“;

მესამე პრემია — **ნოდარ გუგუშვილს** (100 მ.) წიგნისათვის „ოლიმპიური ემბლემით სამყაროს გზებზე“.

**სასწავლო-სპორტულ და სამედიცინო ლიტერატურაში:**

პირველი პრემია — **აკაკი დოკვაძეს** (300 მ) წიგნებისათვის „ფიზკულტურული მოძრაობის მართვის ორგანიზაცია“, „ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა სოფლად“;

მეორე პრემია — **ვასილ ელაშვილს** (200 მ.) წიგნებისათვის „ხალხური მოძრავი თამაშები აღზრდის სისტემაში“, „სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში“;

მესამე პრემია — **შოთა სუხიშვილს** (100 მ) წიგნებისათვის „ყოველდღიური ტანვარჯიში დიასახლისებისათვის“, „ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა პიონერულ ბანაკებში“.

**სპორტულ** ლიტერატურაში აქტიური მუშაობისათვის და გამოფენა-კონკურსში მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ: ვ. აფრიდონიძე, ჯ. სიდამონიძე, გ. ბარჯაძე, გ. მახარაძე, თ. სანებლიძე, შ. მამარდაშვილი, ზ. თელია, დ. დოლიძე, ო. გაგუა, გ. აკოფოვი, შ. აზვლედიანი, ა. გურასაშვილი, მ. ხერგიანი, ზ. თევდორაძე, ა. იაკობაშვილი, დ. ქვანია, ბ. ქორქია, ნ. ასათიანი, ნ. ლობჟანიძე, ო. გიგინეიშვილი, გ. სვალიანი, გ. ამირხანოვი, ნ. ჩხეიძე.

გამოფენა-კონკურსის ორგანიზაციაში ხელშეწყობისათვის მადლობა გამოეცხადათ და სიგელებით დაჯილდოვდნენ: ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე ბ. ქიქილაშვილი და სპორტსახკომის მეთოდკაბინეტის მეთოდისტი გ. რუხაია.

დასახულია ღონისძიებები სპორტულ ლიტერატურაში ავტორთა შემდგომი მოზიდვისა და წახალისებისათვის.

**კონკურს-დათვალიერების შედეგებთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებას ხელს აწერენ: საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე ნ. ენდელაძე, რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე თ. გაჩეჩილაძე, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ა. ძიძიგური.**

# მესამე და მეხუთე

**მოსკოვში,** დინამოელ მოფარიკავეთა ღია საკავშირო ჩემპიონატში სხვა სპორტსაზოგადოებების ბევრი უძლიერესი სპორტსმენიც ცდიდა ძალას. საქართველოს წარმომადგენელთა შორის ყველაზე უკეთ იასპარეზეს ხმლით მოფარიკავეებმა: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მეორეკურსელი, 19 წლის არჩილ ლორთქიფანიძე („შევარდენი“) უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის მესამე ადგილზე გავიდა, მისი თანაგუნდელი აკაკი მახარაძე — მეხუთეზე.

# დასაწყისი...

(დასასრული)

რდენი“ გამოფხიზლდა, იერიშები წამოიწყო, მაგრამ სტუ-ს შუამარბმა დათო ჯაფარიძემ არანაკლებ მოხდენილი გარღვევით კიდევ უფრო დააწინაურა სტუმრები. „შევარდენი“ კვლავ შეტევაზე გადავიდა, შესვენებამდე ძალით, მაგრამ ამაოდ ეცადა ლელოს გატანას, მეორე ტაიმში კი საფუძვლიანად დაეუფლა უპირატესობას. ნიკა იურინმა, ვისაც მანამდე სამი დარტყმა გაუცუდდა, ოთხწუთიანი შუალედით ორი საჯარიმო გაიტანა, „შევარდენს“ გული მიეცა, მაგრამ სტუ-ც ძველებურად ამოქმედდა. ბოლო 20 წუთში, ორმხრივი იერიშების მიუხედავად, ანგარიში აღარ შეცვლილა.

**„ბ“ ქვეჯგუფი**

**31 მარტი. ვარკეთილის სტადიონი. ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 9:6 (3:6).** მეტოქეები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. ამიტომ იყო, რომ მატჩი ყოვლად დაუზვერავად დაიწყეს. უნივერსიტეტელებმა მეტოქის ზორბა და მძიმე მორკინალებზე აგებულ ძალისმიერ ტაქტიკას დაუპირისპირეს გაშლილი თამაში, რითაც ერთხანს აიძულეს კიდეც მოწინააღმდეგე დაცვაზე უფრო ეფიქრა, ვიდრე შეტევაზე.

მე-14 წუთზე უნივერსიტეტის მესამე ხაზის მორკინალმა ზურაბ თურქაძემ მოიგო აუტი და სოლო გარღვევის შედეგად ლელო გაიტანა, რომელიც რეზო შერმაზანაშვილმა გარდასახა —0:6.

მარცხმა ზოოვეტელები ვერ შეაკრთო და რამდენიმე წუთში ვანო ბახტაძემ 35 მეტრიდან საკმაოდ ძნელი საჯარიმო შეაგდო. ამან შეაგულიანა მისი თანაგუნდელები და მათაც გააფთრებით შეუტიეს მეტოქეს. ტაიმის მიწურულს ზოოვეტელები სამი წუთის განმავლობაში, სამჯერ გათამაშებულ ხუთმეტრიან შერკინებებში, ძალით ცდილობდნენ შეეტანათ ბურთი ლელოში, მაგრამ ამაოდ.

მეორე ნახევარში გუნდებმა შეცვალეს სათამაშო ტაქტიკა. ბრძოლამ პოზიციური ხასიათი მიიღო. ზოოვეტელთა გარე ნახევარმცველი ფეხით ჯიუტად გზავნიდა ბურთს მოწინააღმდეგეთა ზურგში, მაგრამ უნივერსიტეტელთა უკანა ხაზისა და, განსაკუთრებით, მცველ გიორგი შენგელაიას გააზრებული თამაშის გამო, ამ ბურთებს უნივერსიტეტელებისათვის მნიშვნელოვანი საფრთხე არ შეუქმნია.

აი, თავად უნივერსიტეტელებმა კი შერკინებასა და, განსაკუთრებით, აუტში (ძირითადად ალეკო ღიბრაძის წყალობით) პირწმინდად აჯობეს მეტოქეს, მაგრამ სამმეოთხედელებმა ვერ გამოიყენეს მორკინალთა მიერ მოპოვებული უპირატესობა: მათ შეტევის დასკვნით ფაზაში სიზუსტე აკლდათ.

თამაშის დამთავრებამდე ათიოდე წუთი რჩებოდა, როდესაც ბახტაძემ ერთი კიდიდან მეორემდე გადასერა მოედანი და ზედ კუთხის ალამთან გაიტანა ლელო, რომლის გარდასახვაც თემურ ცინცაძეს არ გასჭირვებია — 9:6.

დარჩენილ დროში უნივერსიტეტელები ანგარიშმიუცემელ იერიშზე გადავიდნენ, მაგრამ მათ უსისტემო შეტევებს შედეგი არ მოუტანია. ამასთან, ზოოვეტელები ზუსტად მოქმედებდნენ დაცვაში. მათ მეტად მძიმე და საჭირო გამარჯვება მოიპოვეს ჩემპიონატის სტარტზე.

**მერაბ რატიშვილი,**
**სტუ-ს მოთამაშე.**

**1 აპრილი. „გელათი“ (ქუთაისი) — „ასოციაცია“ (თბილისი) 8:10 (8:6).** ამ მატჩის შედეგი ერთობ საყურადღებოა: გუნდმა, რომელიც ერთიანად „მამლუქყოფილებისაგან“ და იმათგან შედგება, ვინც მოუცლელობის გამო 80-იან წლებში გაურბოდა „მამლუქთა“ სარბიელს, სტუმრად მოუგო მეტოქეს, რომელიც წელს სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველ ლიგაში იასპარეზებს.

თამაში წვიმაში მიმდინარეობდა. ატალახებულ მოედანზე ჭირდა ხელით თამაში. ამიტომაც ძალისმიერი ბრძოლა ჭარბობდა. მას შემდეგ, რაც ბარემ ათწლიანი „შესვენების“ შემდეგ რაგბიში დაბრუნებულმა ექიმმა ზაზა ბექაურმა ორი საჯარიმო შეაგდო, სტუმრები 6 ქულით დაწინაურდნენ. მერე მასპინძლებმა ორი ლელო გაიტანეს, შესვენების შემდეგ კი სტუმრებმა მოხდენილი კომბინაცია გაითამაშეს და ლადო გვიანიშვილმა გადამწყვეტი ლელო გაიტანა— 10:8.

„ასოციაციის“ შემადგენლობა: გვიანიშვილი; ნ. მამრიკიშვილი, მ. ნაცვლიშვილი, ბექაური (კილაძე), მელაძე; ჭეიშვილი, ნ. გაბრიჩიძე; მ. მჭედლიძე, კაკაბაძე, ელიზბარაშვილი; ბ. ბერიშვილი, ა. მაზანაშვილი, ბიძინაშვილი, გვენეტაძე; ბ. გეგიძე.

**...არაერთი პრობლემით**

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველმა ტურმა არაერთი პრობლემა წარმოაჩინა. რაკილა ქუთაისში ჭეშმარიტად რაგბის ზეიმი მოეწყო და ნაკლიც ცოტა ჰქონდათ, მოდით, აქედან დავიწყოთ.

„აია“ — აკადემიის თამაშის ოქმის შესწავლამ გამოამჟღავნა, რომ არც მსაჯს, არც კომისარს და არც გუნდებს შეჯიბრების დებულება გულდასმით არ წაუკითხავთ. კერძოდ, ოქმის მზა ბლანკში მათ ისეთი რამ ჩაწერეს, რაც სულაც არ იყო საჭირო; სამაგიეროდ, გამორჩათ ან აბდა-უბდად შეიტანეს არსებითი — ბურთების გამტანთა ვინაობა. გარდა ამისა, „აიას“ სათადარიგოთა შორის მოულოდნელად აღმოვაჩინეთ დუგლას კავთელაშვილი (?!). მოულოდნელად თუნდაც იმიტომ, რომ 31 მარტს „აიას“ მწვრთნელი... ჰონკონგში იმყოფებოდა.



ქუთაისშივე, ფეხბურთელთა წამხედურობით, ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლელოს გამტანისათვის დაუწესებიათ ფულადი ჯილდო. არადა, „ლელოს“ მკითხველებსაც კი კარგად მოეხსენებათ, რომ ფეხბურთისაგან განსხვავებით, **რაგბი სამოყვარულო სპორტია,** და მოთამაშის ფულით დასაჩუქრება, ირბ-ის მოყვარულობის კანონთა თანახმად, **ყოვლად დაუშვებელია.**

ამ „წვრილმანი“ დარღვევების ფონზე თბილისში პირდაპირ სკანდალური ამბები მოხდა. მოგეხსენებათ, შაბათ დილით დედაქალაქში წამოქინქლა, რამაც ვარკეთილის სარაგბო მოედნის გაქვავებული ზედაპირი დაალბო. ამ ამბავმა ბაზის ხელმძღვანელობას, ეტყობა, აფიქრებინა, რომ თამაშით მოედანი „გაფუჭდებოდა“ (?!) — ისე კი საკითხავია, რაღა უნდა „გაფუჭებულიყო“,—და მანაც სათამაშოდ მოსულ მორაგბეებს ცხარე დისპუტი გაუმართა. კამათმა, კულ ცოტა, 100 (ას) წუთს გასტანა. სხვათა შორის, მოდავენი უდიერად შეეხნენ ერთურთის ეროვნულ გრძობებსა და ღირსებას. სანამ სიტყვიერი შეხლა-შემოხლა გრძელდებოდა, მასპინძელმა — ზოოვეტის გუნდმა იმდენი მაინც მოახერხა, რომ სახელდახელოდ ნაშოვნი ნახერხით თავად დაეხაზა მოედანი, რის შემდეგაც ნერვებდაწყვეტილი გუნდები და მსაჯი **მოედანზე შეიჭრნენ** და, რაგინდ უცნაურადაც გვეჩვენოს, დიდებულად ითამაშეს.

რაკილა დარწმუნდა, ამ ურჩებთან ვერაფერს გავხდებით, ბაზის ხელმძღვანელობა მოლბა და მშვიდად უყურა **„ეროვნული ჩემპიონატის გახსნის მატჩს“**. თუმცაკი, ამიერიდან ვარკეთილის სარაგბო სტადიონზე სტუდენტ მორაგბეებს კიდევ შეესვლებათ თუ აღარ, ჯერაც ძნელი სათქმელია.

საზოგადოებრიობას „ურჩ“ მორაგბეთა არგუმენტების მოტანით თავი რომ არ შევაწყინოთ, ახლა მხოლოდ ერთს ვიკითხავთ: ერთი დღით ადრე, პარასკევს რომ გაწვიმებულიყო, ნუთუ „იბერიასა“ და „კოლხეთსაც“ შეჰბედავდნენ, მოედანზე არ დაგინახოთო?!

უკეთ საქმე არც კვირას, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე იყო, თუმცა აქ გუნდებისათვის არავის დაუშლია თამაში (მშრალი ამინდი იდგა). მაგრამ ინსტიტუტის სპორტკლუბმა პირდაპირ უმუხთლა გუნდს — მოედანი დაუხაზავი დაახვედრა. ჰოდა, თამაშის წინ ატყდა ერთი ფაციფუცი. ცარცის ძებნა და გამალებული ხაზვა. მალე ცარცი შემოელიათ. რის გამოც საერთოდ არ გაუვლიათ ხუთი და თხუთმეტმეტრიანი წყვეტილები. ერთი კარის ხაზი კი ბოლოს და ბოლოს ქვიშით „დახაზეს“.

რაკილა ყველა ჩამოთვლილი დარღვევისათვის ჩემპიონატის დებულებით გვარიანი ფულადი ჯარიმებია დაწესებული, ამიტომ დამრღვევთა წარმომადგენლებს ვიწვევთ საქართველოს რაგბის კავშირის წესრიგის კომიტეტის სხდომაზე, რომელიც 5 აპრილს, „ელმავალ“— „ფილის“ თამაშის შემდეგ გაიმართება „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

აქვე მონაწილეებსა და გულშემატკივრებს შიშნარევად და მობოდიშებით ვაცნობებთ, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდრის „ჭირვეულობის“ გამო, შეიცვალა ეროვნული პირველობის კიდევ ორი თამაშის გამართვის თარიღი: „მიმინო“ და სტუ 18 აპრილს ითამაშებენ, „მიმინო“ და ჭიათურის „იმერეთი“ კი 22 აპრილს.

**საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტი.**

# გავუფრთხილდეთ სახელოვან ტრადიციებს

„ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
ერთი მათგანიც რომ
გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო“.
აკაკი.

**საქართველოს** ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, სვანეთში, 25 წელია მოქმედებს მთამსვლელთა ბანაკი „აილამა“, რომელიც რესპუბლიკის პროფსაბჭოს, მთამსვლელთა ფედერაციისა და „განთიადის“ ხელმძღვანელთა ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა. ქართველ მთამსვლელებთან ერთად აქ ალპინისტურ ნათლობას იღებენ და სპორტულ კვალიფიკაციას იმაღლებენ საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების ახალგაზრდებიც. თუმცა, უმჯობესი იყო პირიქით გვეთქვა, რადგან „აილამა“ სეზონში 650-700-მდე მთების მოყვარულს ემსახურება, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა ხვედრითი წილი 3 პროცენტზე ნაკლებია. „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობა (ვისაც საქმის ორგანიზაცია ევალება) საგზურებზე განაცხადების სიმცირით იმართლებს თავს, ხოლო რესპუბლიკის პროფსაბჭო, საგზურების გაუქმების შიშით, წელიწადში მხოლოდ 15-20 ადგილის შეკვეთას უგზავნის საკავშირო ორგანიზაციებს (შედარებისთვის გაცნობებთ, რომ 15-20 წლის წინათ რესპუბლიკაში 10-ჯერ მეტი საგზური ვრცელდებოდა).

სწორედ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ჩვენმა მთამსვლელებმა თანდათანობით დათმეს პოზიციები. წინა თაობების მიერ მოპოვებული ავტორიტეტი და საამაყო ტრადიცია თვალსა და ხელს შუა გვიქრება. საჭიროა სასწრაფო გადამჭრელი ზომების მიღება: ახალგაზრდობა უნდა დავაინტერესოთ, ხელი შევუწყოთ, ვასწავლოთ, გავაცნოთ მშობლიური მხარის ცალკეული კუთხეები, მათი აწმყო და წარსული, ისტორია და გეოგრაფია. და როცა ყოველივე ეს ფიზიკურ წრთობასთან იქნება შერწყმული, შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ სრულუფლებიან, გამძლე და უნარიან მომავალ თაობას აღვზრდით.

„აილამას“ ხელმძღვანელობა მზადაა ცხოვრებაში პრაქტიკულად გაატაროს ამ მიმართულებით დასახული ნებისმიერი ღონისძიება, ბანაკში მიიღოს და შესაბამისი მუშაობა გასწიოს არა მარტო სპორტსმენებთან, არამედ აქტიური დასვენების მსურველ ნებისმიერ ახალგაზრდასთან.

იმედია, „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო სათანადო მუშაობას ჩაატარებს და სანამ დროა დამატებით განაცხადს გააგზავნის საკავშირო პროფსაბჭოში, რათა უზრუნველყოს ჩვენი ახალგაზრდების რეალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და საშუალება მისცენ მათ ზაფხულის ცხელი დღეები სვანეთის ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ, ანკარა მინერალური წყაროების გვერდით გაატარონ.

**ვაჟა მათითაიშვილი,**
**მთამსვლელთა ბანაკ „აილამას“ სასწავლო ნაწილის უფროსი, I კატეგორიის ინსტრუქტორი.**

# სტუმრები სანტ-იმერიდან

**მეგობრობის** საზოგადოება „შვეიცარია-სსრკ“-ს შეთანხმებით ქ. გაგრასა და შვეიცარიის ქალაქებს შორის მჭიდრო ურთიერთობა მყარდება.

ჯერ კიდევ არ იყო განელებული გულთბილი მიღების შთაბეჭდილება, რომლითაც ჩამოვიდნენ გაგრის დელეგაციის წარმომადგენლები დაძმობილებულ ქალაქ ლოკარნოდან, როდესაც შვეიცარიელები საპასუხო ვიზიტით გვეწვივნენ. ე. წ. ფრანგული შვეიცარიიდან გაგრაში ჩამოვიდა პატარა მთიანი ქალაქის სანტ-იმერის ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც აქ ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრება გამართა.

სტუმრები დააბინავეს დასასვენებელ კომპლექს „განთიადში“, სადაც მათ დასვენებისა და წვრთნის ყველა პირობა შეუქმნეს.

საწვრთნელი შეკრებისას სანტ-იმერის გუნდმა ორი ამხანაგური მატჩი გამართა გაგრის „დინამოსთან“ და დამარცხდა ანგარიშით — 1:2, ხოლო ქუთაისის „ქუთაისთან“ — 1:3.

შვეიცარიელები პირველად იმყოფებოდნენ საქართველოში და არაფერი იცოდნენ ჩვენი რესპუბლიკის, ქალაქის ტრადიციებისა და ადათ-წესების შესახებ. გუნდის სპონსორმა, ბატონმა ტჩანმა, გამოხატა რა თავისი დიდი მადლიერება ესოდენ თბილი მიღებისათვის, თქვა: თქვენს ქალაქში ყოფნის პირველივე დღეებიდან მივხვდი რა არის ქართული სტუმართმოყვარეობა. ეს უბრალო თავაზიანობა კი არა, ღრმა ფესვებგამჯდარი ტრადიციაა.

**ნინო არაზაშვილი.**
**„ლელოს“ კორ.**

# გზა ოლიმპოსაკენ

**კამო ფალიანი** და მისი პატარა და ნათელა (შინაურები „დოხოს“ ეძახიან) სპორტით დაინტერესდნენ ბიძის, ცნობილი მთამსვლელისა და მოთხილამურის ჭიჭიკო ჩართოლანის მიღწევების გაცნობის შემდეგ.

ისინი ერთთავად სულ თხილამურებზე იდგნენ. მაშინ მესტიაში ციგაობა და ციგურაობა მოდაში იყო, სწორედ დოხო ტოლს არ უდებდა ბიჭებს, წარმოიდგინეთ, ზოგს ჯობნიდა კიდეც.. აბა, მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენებური ციგაობა ოდესმე საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებათა პროგრამაში შევიდოდა და ზამთრის სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობა — „ნატურბანი“ გახდებოდა.

კამო, როცა სტუდენტი გახდა, ჭიდაობამ გაიტაცა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჩემპიონი რესპუბლიკურ პირველობებშიც წარმატებით გამოდიოდა. ნათელა კი ცნობილი სამთომოთხილამურე გახდა. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, სპორტის ოსტატს, საკავშირო პირველობებზე მრავალგზის დაუცავს საქართველოს სპორტული ღირსება.

ფალიანების ოჯახში სპორტი ერთ-ერთი მთავარი სასაუბრო თემა იყო. კამოს ბიჭებმაც სპორტი გაიხადეს ძირითად საქმიანობად და გატაცებად. უფროსი ვაჟი ზურაბი რომ წამოჩიტდა, მესტიაში კრივი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ალიოშა ჯაფარიძის აღსაზრდელები წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო და ევროპის ჩემპიონატებში, საერთაშორისო ტურნირებზე. მესტიელი ბავშვების უმრავლესობაც რინგმა მიიზიდა. სპორტის ამ სახეობით გატაცება ახლაც გრძელდება.

ამბობენ, „კარგ სახარეს ჩლიქებში ეტყობაო“. კამომაც შეატყო ზურაბს, რომ კრივის მონაცემები ჭარბად ჰქონდა და ალიოშასთან ამიტომაც გაუშვა სამეცადინოდ. შედეგმა არ დააყოვნა, სულ რაღაც ოთხიოდე წელიწადში საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის პირველი ნომერი გახდა თავის წონაში. ზურაბმა მესტიის რინგზე აღებული სტარტიდან პუერტო-რიკოს მსოფლიო ჩემპიონატამდე მიმავალი გზა ოთხ წელიწადში განვლო. მიზანიც ახლოს იყო, მაგრამ... წარბის დაზიანების გამო, იგი შეჯიბრებიდან მოხსნეს.

როცა ზურაბი უმაღლესი მიზნისაკენ მიიწევდა, მისი პატარა ძმა სვანეთში ემზადებოდა ახალი ბრძოლებისათვის. თბილისელ მაყურებელს ახსოვს შარშან შემოდგომაზე თბილისის სპორტის სასახლის რინგზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე როგორი წარმატებით იასპარეზა რამაზ ფალიანმა, მანამდე იმანაც დიდი ბრძოლების და წინააღმდეგობების გზა განვლო. დამაჯერებლად მოიპოვა საქართველოს ოთხგზის ჩემპიონობა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოზარდებში, პროფკავშირთა საკავშირო პირველობის ჩემპიონი, საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებული. საგაზეთო წერილში ძნელია იმის აღნიშვნა, და არც არის საჭირო, რომელ ქალაქში რა შეჯიბრება მოიგეს ბიჭებმა, ამაზე მათი სიგელები, დიპლომები, მედლები და სამახსოვრო პრიზები მეტყველებს. აქ არც მათ ჩამოთვლას აქვს აზრი, ისინი თავად უნდა ნახოს კაცმა კამო ფალიანის ოჯახში. ნახოს ისიც, როგორი მონდომებით ემზადება მესამე ძმა — შალვა.. მანაც მოასწრო თავის ტოლებში საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. აქ მთავარი ჩემპიონობა არ გახლავთ, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მამაც და მისი მწვრთნელებიც „ჩლიქებში ატყობენ“, რომ შალვა ძმებზე ნაკლები არ იქნება. ალლოს კი, წარმოიდგინეთ, ძმებზე მეტად უჭქებენ.

ღმერთმა ქნას!

გზა დაელოცოთ ფალიანების ბოკვრებს სპორტული ოლიმპოსაკენ.

**პირიბე ზვარლიანი,**
**„ლელოს“ კორ.**

მესტია.

**P.S.** ეს წერილი მზად იყო, როცა რედაქციაში ცნობა მივიღეთ — რამაზ ფალიანი ირკუტსკში ქვეყნის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდა მოკრივეთა შორის.

# ოღონდ არ მიგვატოვონ

**ძვირფასო რედაქცია,** ყურადღებით წავიკითხეთ თქვენი გაზეთის 18 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „განა რა დაშავდება...“ წინადადებას, რომელსაც პატივცემული გიორგი კობახიძე გვთავაზობს, ნამდვილად სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ჩვენი სპორტის მესვეურნი. მართლაც რომ არაფერი დაშავდება, თუ ხელბურთელთა ან ფრენბურთელთა ფედერაციები ჩვენს ქალაქში გადმოვლენ და აქვე დაიდებენ ბინას. ამით, ვფიქრობთ, ჩვენი ქალაქის 150 ათასიანი მოსახლეობა სპორტით „დაიმუხტება“, ხოლო ჩვენი დედაქალაქი — პირიქით, ცოტას „ამოისუნთქავს“ სიჭარბისგან. მივესალმებით იმ აზრს, რომ ინდუსტრიული რუსთავი გახდეს სპორტული ქალაქიც. მხოლოდ აქედანვე უნდა ისეთი თადარიგი დავიჭიროთ, რომ სპორტსმენებმა რამდენიმე წლის შემდეგ არ მიგვატოვონ ჩვენი საქვეყნოდ ცნობილი მსახიობებივით.

**ბესიკ და ლევან ჩუბინიძეები,**
**რუსთავის № 25 საშუალო სკოლის მოსწავლეები.**

ცენტრი თოფის პოზიციებს

# სამეცნიერო ხარისხი თბილისში მიენიჭებათ

**სსრ კავშირის** მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის 1989 წლის 1 დეკემბრის №303 ბრძანების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან შეიქმნა რეგიონალური სპეციალიზებული საბჭო შიფრით 13.00.04 (ფიზიკური აღზრდის, სპორტული წვრთნის და გამაჯანსაღებელი ფიზიკური კულტურის თეორია და მეთოდიკა), რომელსაც მიეცა უფლება მიანიჭოს პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

საბჭოს შემადგენლობაში 18 წევრი შედის. იგი ერთ-ერთი უძლიერესია ანალოგიურ საბჭოებთან შედარებით. 18 წევრიდან 11 მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია. ასეთი შემადგენლობის საბჭოს თამამად შეიძლება მიეცეს სადოქტორო დისერტაციების დაცვის უფლებაც.

როგორც აღვნიშნეთ, საბჭო რეგიონალურია, ამიტომ მასში შედიან, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ი. ტალიბოვი (ბაქოდან), პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ფ. კაზარიანი (ერევნიდან), ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ი. ქუთათელაძე (მოსკოვიდან).

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა 1990 წლის 30 მარტს, როდესაც პირველად საგანგებო საბჭოს სხდომაზე ტანვარჯიშის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა მურთაზ ცხვედაძემ და ფიზკულტურული მოძრაობის მართვისა და სპორტის ისტორიის კათედრის მასწავლებელმა ლელა აფციაურმა საჯაროდ დაიცვეს დისერტაცია.

ორივე მაძიებელს საბჭოს 18 წევრიდან 18-ვემ მისცა დადებითი ხმა, რაც სასიხარულო და აღსანიშნავი ფაქტია. საზეიმოდ მორთული ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზი სავსე იყო დამსწრე საზოგადოებით. სიტყვაში გამოსულებმა პროფესორებმა ი. ტალიბოვმა, ფ. კაზარიანმა, ლ. ჩხაიძემ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. მოსიძემ, უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის პროფესორმა ვ. კობახიძემ მიულოცეს ფიზკულტურის ინსტიტუტს ეს ისტორიული თარიღი და წარმატებები უსურვეს ჩვენი რესპუბლიკისათვის უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტთა მომზადების საქმეში.

**„ლელოს" კორ.**

# ამჯერად მეორე ადგილზე

**ტოლიდო** (აშშ, ოჰაიოს შტატი). მსოფლიოს თასს თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა ათლეტები რვაჯერ ზედიზედ ფლობდნენ. შარშანაც ეს საპატიო პრიზი სწორედ მათ მოიპოვეს, აი წლეულს კი მისი დათმობა მოუხდათ. თასი ამერიკელმა მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს, რომლებმაც ფინალში სწორედ საბჭოთა ნაკრები დაამარცხეს — 6:4.

საპატიო ჯილდოს გათამაშებაში ხუთი გუნდი მონაწილეობდა. საბჭოთა მოჭიდავეებმა ერთნაირი ანგარიშით (10:0) აჯობეს კანადისა და კუბის ათლეტებს, თურქეთის გუნდს კი მოუგეს 8:1 (ერთ წონაში პასიურობისათვის ორივე მონაწილე მოიხსნა). ამერიკელებმა კი შესაბამისად დაამარცხეს თურქეთის (7:3), კანადისა (9:1) და კუბის (8:2) ათლეტები.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასი, რომლის გათამაშებაც 1973 წლიდან ეწყობა, ამერიკელ მოჭიდავეებს დღემდე ორჯერ ჰქონდათ მოგებული — 1980 და 1982 წლებში.

# „ლოკომოტივის" სტადიონს — ახალი სახელი

**საქართველოს** დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის შექმნამ და ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებამ, ბევრ საფეხბურთო გუნდს მისცა სტიმული, მათ შორის მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების მქონე თბილისის „ლოკომოტივს".

29 მარტს შედგა თბილისის „ლოკომოტივის" საფეხბურთო კლუბის დამფუძნებელი კონფერენცია.

კონფერენციამ დაგვანახა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ და პროფკავშირების საგზაო საბჭომ გუნდს აღმოუჩინა დიდი ფინანსური და მატერიალური დახმარება, შექმნა პირობები ითამაშოს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის II ჯგუფში.

კონფერენციამ მოიწონა საფეხბურთო კლუბის წესდების პროექტი. არჩეულია კლუბის პრეზიდენტი — წარსულში „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდის წევრი, გოგი ხაზარაძე, რომელიც ამჟამად რკინიგზის სამშენებლო ტრესტის მმართველია.

**კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ „ლოკომოტივის" სტადიონს დაერქვას 26 მაისის სახელობის სტადიონი.** რაც შეეხება საფეხბურთო კლუბისა და გუნდის სახელწოდებას, გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ კონკურსი.

საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობის აზრით კლუბს უნდა ერქვას ეროვნული ძლერადობის სახელი.

**საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობა.**

**რედაქციისაგან: მისასალმებელია რკინიგზის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება საერთოდ ქართული ფეხბურთისადმი. ნათქვამის დასტურია ისიც, რომ ამ უწყებამ საფეხბურთო გუნდი აღადგინა, ეს კი ოდინდელი ტრადიციების აღორძინების რწმენასაც გვინერგავს. რკინიგზელთა სტადიონი, რომელიც დედაქალაქში ყველაზე ხალიდური მეორე საფეხბურთო სარბიელია, „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქციის წლებში ჭეშმარიტად შეიყვარეს ფეხბურთის გულშემატკივრებმა.**

**დაე, კვლავ ხმიანობდეს ფეხბურთი 26 მაისის სახელობის სტადიონზე.**

# გულშემატკივრებმა ირჩევენ ახალ პრეზიდენტს

ამ დღეებში ჩვენს დედაქალაქში შეიკრიბნენ თბილისის „იბერიის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივრები.

განიხილეს კლუბის პრეზიდენტის გ. ქავთარაძის განცხადება მისი ამ პოსტიდან გადადგომის შესახებ. კრებამ კლუბის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დაავალა ამავე კლუბის ვიცე-პრეზიდენტს, გ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს ვიქტორ იაშვილს.

1987 წლიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა გულშემატკივართა კლუბის პასუხისმგებელი მდივანი ვასილ ხუნდაძე, მანვე გააკეთა ინფორმაცია უახლოეს ხანში პრეზიდიუმის არჩევნების შესახებ.

განიხილეს საფეხბურთო კლუბ „იბერიაში" გაწევრიანებისა და შემდეგ აბონემენტების შეძენის საკითხი.

კრებას ესწრებოდა საფეხბურთო კლუბ „იბერიის" გუნდის უფროსი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ გუცაევი. მანვე უპასუხა გულშემატკივართა მრავალ შეკითხვას.

**მზია მეგალიშვილი,**
**თბილისის „იბერიის" გულშემატკივართა კლუბის წერილების სექციის ხელმძღვანელი.**

უცხოეთის ფეხბურთის ახალი ამბები

## მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში?

**ბრაზილიის** პრეზიდენტმა ფერნანდო კოლორ დე მელომ წინადადება წამოაყენა, რომ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ჩატარდეს ბრაზილიაში. ეს მოსაზრება ბრაზილიის პრეზიდენტმა გამოთქვა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ჟოაო ავლანჟთან და ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ რიკარდო ტეიშეირასთან საუბარში.

ჟ. აველანჟმა საპასუხოდ განაცხადა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია მიესალმება, თუ კი ბრაზილია თავის კანდიდატურას წამოაყენებს 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის თავისთან ჩატარების თაობაზე, ვინაიდან ფეხბურთი ამ ქვეყანაში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა, ხოლო ბრაზილიის გუნდი ყოველთვის ერთ-ერთი უძლიერესი იყო მსოფლიოში. მაგრამ საეჭვოა შეძლებს კი ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებას იმ პირობებში, როცა ამ ქვეყნის ფინანსურმა ინფლაციამ შარშან 2700 პროცენტს მიაღწია?

რ. ტეიშეირამ განაცხადა: სტადიონებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის ჩვენ დაგვჭირდება არანაკლებ 6 მილიარდი დოლარი.

ბრაზილიის პრესის ცნობით ფერნანდო კოლორ დე მელოს მიერ წამოყენებული წინადადება ბრაზილიაში მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის თაობაზე, ერთადერთი საშუალებაა, რის საფუძველზეც ეს ქვეყანა დაძლევს ეკონომიკურ კრიზისს.

## რვა გოლი რვა მატჩში

„იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების არც თუ ცუდი შანსი გვქონდა... „საგზური" რომ მოგვეპოვებინა, — თქვა თავის ინტერვიუში საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა მიშელ პლატინიმ, — თავად განსაჯეთ, ჩვენმა გუნდმა ბოლო მატჩებში ჩემპიონატის სამი ფინალისტი დაამარცხა: შვეცია, შოტლანდია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. თუმცა [illegible] უკვე [illegible]".

მას შემდეგ, რაც ფრანგმა ფეხბურთელებმა წარუმატებლად ჩაატარეს შესარჩევი შეხვედრები და ვერ მოხვდნენ მსოფლიო ჩემპიონატის 16 ფინალისტს შორის, პლატინიმ მთლიანად შეუცვალა ნაკრებს სახე. ახლა ეს გუნდი ლამაზ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს და ბოლო რვა შეხვედრაში შვიდი მატჩი მოიგო, ერთი კი ფრედ დაამთავრა.

„ჩვენმა ახალგაზრდებმა ირწმუნეს საკუთარი ძალების და დაამტკიცეს, რომ ფრანგული ფეხბურთი უწინდებურად ძლიერია" — აღნიშნა პლატინიმ.

სპეციალისტთა აზრით, ამჟამად, საფრანგეთის ნაკრებში ყველაზე დიდ ძალას წარმოადგენს ორი თავდამსხმელი — ერიკ კანტონა და ჟან-პიერ პაპენი. ბოლო მატჩში, რომელიც ფრანგებმა ბუდაპეშტში გამართეს უნგრეთის ნაკრებთან (3:1), ორი ბურთი კანტონის ანგარიშზეა. ასე რომ, 8 მატჩში კანტონამ რვა გოლი გაიტანა. პაპენმა ხუთ შეხვედრაში ოთხჯერ მიაღწია წარმატებას.

მკითხველი — გაზეთი

## საერთაშორისო მატჩებზე რა ვქნათ?

**შეკითხვა:** აბონემენტი, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის თბილისში გამართულ მატჩებზე შევიძინე, გამომადგება თუ არა საერთაშორისო შეხვედრებზე?

**ჰ. მაღალაშვილი.**
**თბილისი.**

**ფეხბურთის გულშემატკივარს უპასუხებს სპორტკომპლექს „დინამოს" დირექტორი ვაჟა ჟღენტი:**

„სტადიონის აბონემენტები ძალას კარგავს საერთაშორისო მატჩებზე. ამასთან, აბონემენტის მფლობელს უფლება ეძლევა ასეთ მატჩებზე ბილეთი შეიძინოს აბონემენტში მითითებულ ადგილზე".

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.**

### ავსტრია

**28-ე ტური.** „ადმირა" — „ვიენა" 5:1, „რაპიდი" — „ტიროლი" 0:1, „შტურმი" — „ზალცბურგი" 0:0, „სენტ პოლტენი" — „აუსტრია" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტიროლი" | 28 | 54-25 | 26 |
| „აუსტრია" | 28 | 62-37 | 28 |
| „რაპიდი" | 28 | 70-45 | 22 |

### გფრ

**26-ე ტური.** „ფრანქფურტი" — „ლევერკუზენი" 0:3, „ჰომბურგი" — „მიონჰენგლადბახი" 1:3, „კიოლნი" — „დორტმუნდი" 1:1, „კარლსრუე" — „ნიურნბერგი" 0:0, „მანჰეიმი" — „ვერდერი" 0:0, „ჰამბურგი" — „სენტ პაული" 0:0, „ბოხუმი" — „ბაიერნი" 0:0, „შტუტგარტი" — „კაიზერსლაუტერნი" 0:1, „იურდინგენი" — „დიუსელდორფი" 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 26 | 50-23 | 37 |
| „ლევერკუზენი" | 26 | 36-20 | 34 |
| „კიოლნი" | 26 | 39-34 | 33 |

### გდრ

**მე-18 ტური.** „დინამო" — „კარლ ცეისი" 0:4, „მაგდებურგი" — „ლაიფციგი" 2:2, „კარლ-მარქს-შტადტი" — „ჰანზა" 1:0, „ენერგია" — „ეიზენჰუტენშტადტი" 3:1, „ბრანდენბურგი" — „ბიშოფსვერდა" 0:2, „ჰემი" — „ფქ ბერლინი" 1:2, „როტვაისი" — „ვისმუთი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო" (დრეზ.) | 18 | 32-17 | 26 |
| „მაგდებურგი" | 18 | 31-15 | 25 |
| „ფქ ბერლინი" | 18 | 29-19 | 24 |

### იტალია

**30-ე ტური.** „კრემონეზე" — „ასკოლი" 2:1, „ინტერი" — „ატალანტა" 7:2, „უდინეზე" — „ბარი" 2:2, „ფიორენტინა" — „ჩეზენა" 0:0, „რომა" — „ვერონა" 5:2, „ნაპოლი" — „იუვენტუსი" 3:1, „ჯენოვა" — „ლაციო" 2:2, „ლეჩე" — „მილანი" 1:2, „ბოლონია" — „სამპდორია" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მილანი" | 30 | 50-25 | 44 |
| „ნაპოლი" | 30 | 47-29 | 43 |
| „ინტერი" | 30 | 49-27 | 40 |

### ჰოლანდია

**27-ე ტური.** „ტილბურგი" — „გრონინგენი" 3:0, „როდა" — „ჰარლემი" 5:0, „ნიემიგენი" — „ფეიენოორდი" 0:0, „აიაქსი" — „ფორტუნა" 1:0, „დენ ჰააგი" — „უტრეხტი" 1:1, „სპარტა" — „ვოლენდამი" 2:0, „ტვენტე" — „ველვიკო" 0:1, „მაასტრიხტი" — „ეინდჰოვენი" 0:1, „დენ ბოში" — „არნჰემი" 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი" | 27 | 83-31 | 38 |
| „აიაქსი" | 26 | 49-19 | 36 |
| „როდა" | 27 | 45-29 | 35 |

### საფრანგეთი

**30-ე ტური.** „სენტ ეტიენი" — „ნანტი" 0:0, „კაენი" — „ლიონი" 1:1, „ბრესტი" — „მარსელი" 2:1, „მონაკო" — „ოსერი" 2:4, „კანი" — „მულუზი" 4:1, „ბორდო" — „სენ ჟერმენი" 3:0, „რესინგი" — „მონპელიე" 0:0, „სოშო" — „ნიცა" 1:1, „ლილი" — „ტულუზა" 3:0, „ტულონი" — „მეცი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო" | 30 | 45-18 | 44 |
| „მარსელი" | 29 | 60-27 | 41 |
| „მონაკო" | 30 | 29-22 | 35 |

### ესპანეთი

**31-ე ტური.** „ტენერიფე" — „სან სებასტიანი" 2:2 (გამოტოვებული მატჩი), „რეალი" — „ტენერიფე" 5:2, „სან სებასტიანი" — „სელტა" 1:0, „ვალეკანო" — „ლოგრონიესი" 0:2, „ბარსელონა" — „ატლეტიკო" 0:2, „მაიორკა" — „ხიხონი" 1:1, „კასტელონი" — „ვალენსია" 0:1, „ოვიედო" — „კადისი" 4:3, „პამპლონა" — „მალაგა" 2:0, „ვალიადოლიდი" — „სევილია" 3:0, „სარაგოსა" — „ბილბაო" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" | 31 | 90-30 | 51 |
| „ატლეტიკო" | 31 | 44-27 | 42 |
| „ვალენსია" | 31 | 51-35 | 42 |

### საბერძნეთი

**26-ე ტური.** „ვოლოსი" — „ლევადია" 3:0, „ლარისა" — „ირაკლისი" 0:0, „იონიკოსი" — „ქსანტი" 0:0, „ეთნიკოსი" — „არისი" 1:1, „სერესი" — „პანათინაიკოსი" 2:0, „პაოკი" — „ოლიმპიაკოსი" 4:1, „ოფი კრეტა" — „აეკი" 3:1, „კალამარია" — „პანიონისი" 3:3, „დოქსა" — „აპოლონი" 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პანათინაიკოსი" | 26 | 55-25 | 40 |
| „ოლიმპიაკოსი" | 26 | 48-22 | 38 |
| აეკი | 25 | 46-14 | 37 |

### ბელგია

**27-ე ტური.** „გენტი" — „რესინგი" 4:1, „მეჰელენი" — „ლოკერენი" 3:0, „სტანდარდი" — „სერკლი" 4:1, „ბეერსკოტი" — „სენტ ტრუდენი" 0:0, „შარლერუა" — „ბეევერენი" 1:1, „ლიერსი" — „ლიეჟი" 2:1, „კურტრე" — „ანდერლეხტი" 0:2, „ბრიუგე" — „ვარეგემი" 3:0, „ეკერენი" — „ანტვერპენი" 1:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი" | 27 | 64-10 | 44 |
| „ბრიუგე" | 27 | 57-19 | 44 |
| „მეჰელენი" | 27 | 53-9 | 41 |

### პოლონეთი

**მე-19 ტური.** „კს ლოძი" — „ვისლა" 0:0, „სლასკი" — „ბიალისტოკი" 3:0, „ლეგია" — „მიტორი" 2:0, „ზაგლემბე" — „ვიძევი" 1:0, „ოლიმპია" — „გურნიკი" 1:0, „სოსნოვეცი" — „სტალი" 2:0, „ბიდგოშჩი" — „ლეხი" 2:0, „გკს-„რუხი" 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ზაგლემბე" | 19 | 27-15 | 28 |
| გკს | 19 | 28-11 | 27 |
| „ლეხი" | 19 | 26-19 | 26 |

### ჩეხოსლოვაკია

**22-ე ტური.** „სლავია" — „ოლომოუცი" 4:0, „დუნაისკა სტრედა" — „ნიტრა" 1:3, „სპარტა" — „ბანსკა ბისტრიცა" 1:1, „სლოვანი" — „ბანიკი" 0:0, „პოვაჟსკა ბისტრიცა" — „ინტერი" 0:3, „ზბროიოვკა" — „დუკლა" 4:0, „ვიტკოვიცე" — „სპარტაკი" 1:1, „რუდა ჰვეზდა" — „ბოჰემიანსი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტა" | 22 | 49-21 | 35 |
| „ინტერი" | 22 | 43-23 | 30 |
| „ბანიკი" | 22 | 37-18 | 29 |

### შვეიცარია

**მე-5 ტური.** „ლოზანა" — „სენტ გალენი" 1:0, „ლუგანო" — „სიონი" 1:0, „ლუცერნი" — „იანგ ბოისი" 2:0, „ქსამაქსი" — „გრასჰოპერსი" 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ქსამაქსი" | 5 | 12-2 | 22 |
| „ლოზანა" | 5 | 8-4 | 18 |
| „გრასჰოპერსი" | 5 | 19-8 | 17 |

### იუგოსლავია

**25-ე ტური.** „ვარდარი" — „ველეჟი" 4:1, „ვოივოდინა" — „ჟელეზნიჩარი" 1:1 (5:4), „სლობოდა" — „ოსიეკი" 2:0, „სპარტაკი" — „ჰაიდუკი" 1:0, „დინამო" — „პარტიზანი" 2:1, „ცრვენა ზვეზდა" — „რადნიჩკი" 1:0, „ოლიმპია" — „ზბოროაცი" 4:1, „რადი" — „რიეკა" 4:0, „სარაევო" — „ბუდუჩნოსტი" 4:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო" | 25 | 47-13 | 36 |
| „ცრვენა ზვეზდა" | 25 | 62-28 | 35 |
| „ბუდუჩნოსტი" | 25 | 21-23 | 25 |

### რუმინეთი

**21-ე ტური.** „სტიაუა" — „არჯესი" 2:1, „სიბიუ" — „კონსტანცა" 1:1, „პლოეშტი" — „დინამო" 1:1, „ბაკაუ" — „ორადეა" 1:0, „ბრაშოვი" — „უნივერსიტატია" 1:0, „ჰუნედოარა" — „ფლაკარა" 0:0, „ტიმიშოარა" — „კლუჟი" 4:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო" | 21 | 62-12 | 36 |
| „სტიაუა" | 21 | 57-15 | 36 |
| „უნივერსიტატია" | 20 | 32-12 | 28 |

### ბულგარეთი

**მე-19 ტური.** „სტარა ზაგორა" — „სლავია" 3:0, „ლევსკი" — „ორიახოვიცა" 1:0, „ეთირი" — „ბოტევი" 3:0, „სლივენი" — „პასარჯიკი" 2:0, „დუნავი" — „ჩერნომორეცი" 1:0, „თრაკია" — ცსკა 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| ცსკა | 19 | 57-16 | 30 |
| „ლევსკი" | 19 | 37-24 | 23 |
| „ეთირი" | 19 | 29-21 | 23 |

### ინგლისი

**31-ე ტური.** „ქოვენთრი" — „ჩარლტონი" 1:2, „კრისტალ პალასი" — „ასტონ ვილა" 1:0, „დერბი" — „არსენალი" 1:3, „ევერტონი" — „ნორვიჩი" 3:1, „ლუთონი" — „მილუოლი" 2:1, „ქუინს პარკი" — „ნოტინგემი" 2:0, „საუთჰემპტონი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 0:2, „უიმბლდონი" — „შეფილდი" 1:1, „ლივერპული" — „ტოტენჰემი" 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ასტონ ვილა" | 31 | 47-28 | 59 |
| „ლივერპული" | 29 | 58-28 | 56 |
| „არსენალი" | 30 | 45-30 | 50 |

### უნგრეთი

**მე-20 ტური.** „ვესპრემი" — „ბეკეჩაბა" 2:0, „ტატაბანია" — „ჰალადაში" 2:1, მტკ — „დოჟა" 2:0, „იზო ვაკი" — „ვიდეოტონი" 1:1, „პეჩი" — „სიოფოკი" 1:1, „ფერენცვაროში" — „დებრეცენი" 3:1, „რაბა ეტო" — „ჰონვედი" 2:0, „ვაშაში" — „ჩეპელი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დოჟა" | 20 | 31-14 | 43 |
| მტკ | 20 | 29-11 | 42 |
| „პეჩი" | 20 | 28-14 | 37 |

(საქ. ინფ.)



სსრ კავშირის
ჩემპიონატი კალათბურთში

# ლიდერი ქულებს აგროვებს

**გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.**

**მინსკი.** ადგილობრივი რადიოტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივი მოსკოვის არმიელთა გუნდს მასპინძლობდა. გათამაშების პოტენციურმა ლიდერმა ცსკა-მ (მხოლოდ ხუთი მატჩი აქვს წაგებული) ბრძოლის ბედი ფაქტიურად პირველ ტაიმში გადაწყვიტა, რომელიც მოიგო 13 ქულის სხვაობით (45:32). შესვენების შემდეგ მასპინძლების ცდა გარდატეხა შეეტანათ თამაშში, უშედეგო აღმოჩნდა, თუმცა სხვაობის შემცირება მათ მაინც შეძლეს. მოსკოველმა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს — 87:80.

**რიგა.** ალმა-ათის არმიელები ბოლო შეხვედრებს ალმავლობით ატარებენ. აი ახლაც, მათ მორიგი შეხვედრა მოუგეს ადგილობრივ ვეფ-ს 95:87 (49:48).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 3 აპრილისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მ.) | 42 | 31 | 11 | 73 |
| „კალევი“ (ტალ.) | 44 | 28 | 16 | 72 |
| ცსკა | 38 | 33 | 5 | 71 |
| სკა (ალმა-ათა) | 42 | 27 | 15 | 69 |
| „ბუდიველ.“ (კ.) | 40 | 27 | 13 | 67 |
| „სპარტაკი“ (ლენ.) | 44 | 23 | 21 | 67 |
| ვეფ (რიგა) | 41 | 23 | 18 | 64 |
| „შახტიორი“ (დონ.) | 44 | 14 | 30 | 58 |
| „დინამო“ (თბ.) | 42 | 13 | 29 | 55 |
| რტი (მინსკი) | 43 | 12 | 31 | 55 |
| „ჟალგირ.“ (კაუნ.) | 44 | 17 | 27 | 54 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 44 | 6 | 38 | 46 |

# ცვლილება კალენდარში

**საქართველოს** სპორტსახკომის მთავარმა სპორტულმა სამმართველომ ცვლილება შეიტანა აპრილის ასპარეზობათა კალენდარში. კერძოდ, ამ თვის შეჯიბრებებში ჩართეს საქართველოს ჩემპიონატი მშვ მრავალჭიდში, იგი ჯერ რამდენიმე ზონაში გაიმართება, ფინალი კი მაისში ჩატარდება ხობში.

I ზონა 19-22 ხობი.
II ზონა 19-22 ბორჯომი.
III ზონა 26-29 ჭიათურა.
IV ზონა 26-29 გურჯაანი.

# ჩემპიონატი დაიწყო

**მეორე** საკავშირო პირველობა კეტბურთში საგრძნობლად განსხვავდება წინამორბედისაგან: ტურნირი გაყოფილია ორ ეტაპად, თითოეული სამ-სამ წრედ ტარდება. ამჟამად ტირასპოლში პირველი ეტაპის პირველი წრის შეხვედრები მიმდინარეობს (დაიწყო 28 მარტს და გაგრძელდება 5 აპრილამდე). მეორე ჯგუფის გუნდები ასპარეზობენ სიმფეროპოლში (31 მარტი — 7 აპრილი). მეორე წრე იმავე ქალაქებში 11-18 აპრილს ჩატარდება, ხოლო მესამე წრის მატჩებს უმასპინძლებენ სიმფეროპოლი და თბილისი (25-29 აპრილს). გუნდები თითოჯერ შეხვდებიან ერთმანეთს.

ტირასპოლის ქვეჯგუფში თამაშობენ კიევის „ბიტოვიკი“, მოსკოვის მხტი, ტირასპოლის აპფ, მოსკოვის მაი და თბილისის „მერანი“. სიმფეროპოლის ქვეჯგუფში — მოსკოვის ოლქის ასკ, ოდესის „დოკერი“, სიმფეროპოლის „ფოტონი“, ხაბაროვსკის „ვოსხოდი“, ტაშკენტის „მონტაჟნიკი“, ვლადივოსტოკის „უსურიისკიე ტიგრი“ და თბილისის „ივერია“.

მეორე ეტაპზე I-VI ადგილზე გასული გუნდები იბრძოლებენ პირველობისათვის ისევ სამ წრედ, სხვა გუნდები კი გაითამაშებენ დანარჩენ ადგილებს.

გარდა ამისა, ჩემპიონატის ცხრა საუკეთესო გუნდს დაემატება კიდევ 10 გუნდი, რომლებიც გაითამაშებენ სსრ კავშირის თასს. ამ ორი შეჯიბრების შედეგების მიხედვით შეიქმნება სსრ კავშირის უმაღლესი ლიგა.

გუნდებმა უკვე ჩაატარეს შეხვედრები.

სამწუხაროდ, თბილისის „ივერია“ დამარცხდა ორივე შეხვედრაში, ჯერ სიმფეროპოლის „ფოტონთან“ — 2:11, შემდეგ — ხაბაროვსკის „ვოსხოდთან“ — 12:24.

თბილისის მეორე გუნდმა „მერანმა“ პირველი შეხვედრა წააგო ტირასპოლის აპფ-თან — 5:17, შემდეგ კი ლენინგრადის „სპექტრანსთან“ გამარჯვება მოიპოვა — 11:4.

# ოლიმპიური ტურნირის რეგლამენტი

**31 მარტს** დამთავრდა 1992 წლის ოლიმპიური თამაშების ფინალური საფეხბურთო ტურნირის მონაწილეთა განაცხადების წარდგენის ვადა. შესარჩევი მატჩები დაიწყება წლეულს აგვისტოში და დამთავრდება 1992 წლის მაისში.

ფინალურ ტურნირში 3 ადგილი დაეთმობა აზიას, 3 — აფრიკას, 2 — სამხრეთ ამერიკას, 2 — ჩრდილოეთ, სამხრეთ ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების გუნდებს და 5 ან 6 — ევროპასა და ოკეანიას.

განსაზღვრულია მოთამაშეთა ასაკიც, იგი არ უნდა აღემატებოდეს 23 წელს.

**ახლოვდება მსოფლიოს XIV ჩემპიონატი. დღეიდან ჩვენი გაზეთი გაგაცნობთ ჩემპიონატში მონაწილე ყველა 24 გუნდის სავიზიტო ბარათებს. ფინალისტების გაცნობას 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონის, არგენტინის ნაკრებით ვიწყებთ.**

# არგენტინა

არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. იგი 1893 წელს დაარსდა. ფიფა-ს წევრი გახდა 1912 წელს, პირველი საერთაშორისო მატჩი გამართა 1902 წლის 20 ივლისს ურუგვაის ნაკრებთან და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 6:0.

1930 წელს ურუგვაიში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრები ფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე იყო მასპინძელთა გუნდი. დაძაბული შეხვედრა ურუგვაელთა გამარჯვებით — 4:2 დამთავრდა. ამ ჩემპიონატზე საუკეთესო იყო არგენტინელთა ფორვარდი სტაბილე. 1934 წელს არგენტინის ნაკრები შვეციასთან დამარცხდა (2:3) და გათამაშებას გამოეთიშა. 1938, 1950 და 1954 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებში არგენტინელებს მონაწილეობა არ მიუღიათ. 1958 წელს არგენიტინელები, მართალია, გამოვიდნენ ჩემპიონატში, მაგრამ დიდი ანგარიშით (1:6) წააგეს ჩეხებთან, გფრ-ის ნაკრებთანაც დამარცხდნენ — 1:3 და მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვეს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან — 3:1. არც 1962 და 1966 წლების ჩემპიონატებში ჰქონიათ რაიმე თვალსაჩინო წარმატება არგენტინელებს.

არგენტინის ნაკრებმა ნამდვილი აღიარება მოიპოვა 70-იანი წლების ბოლოს, როცა 1978 წელს მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში ჩატარდა. მასპინძლებმა ქვეჯგუფში დაამარცხეს ფრანგები და უნგრელები, ხოლო იტალიელებთან მარცხი განიცადეს მინიმალური ანგარიშით — 0:1, მაგრამ ამ წაგებას მათი შემდგომი წინსვლისათვის ხელი არ შეუშლია. მეოთხედფინალურ ჯგუფში არგენტინის ნაკრები მოხვდა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებთან — ბრაზილიელებთან, პოლონელებთან და პერუელებთან. მასპინძლებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს პერუს ნაკრები — 6:0, პოლონეთი — 2:0, ხოლო ბრაზილიელებთან შეხვედრა ფრედ (0:0) დაამთავრეს, მათთან ერთად ქულების ერთნაირი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდათ და ფინალშიც ისინი გავიდნენ. აქ დამატებით დროში დაამარცხეს ჰოლანდიის ძლიერი გუნდი — 3:1 და პირველად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ამ დროს ნაკრებში გამოდიოდნენ ფეხბურთის ვარსკვლავები: მეკარე ფილოლი, მცველი — გუნდის კაპიტანი პასარელა, ბერტონი, არდილესი და ამ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი მარიო კემპესი.

1982 წელს მსოფლიო ჩემპიონებმა სრული ფიასკო განიცადეს: მეოთხედფინალურ ჯგუფში ორივე მატჩი წააგეს — ჯერ იტალიელებთან — 1:2, ხოლო შემდეგ ბრაზილიელებთან — 1:3 და მარცხიანად დატოვეს ჩემპიონატი. მათ ვერც მსოფლიოს ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა დიეგო მარადონამ უშველა. 1986 წელს მექსიკაში არგენტინის ნაკრები მთლიანად შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა და შესანიშნავი შემსრულებლის მარადონას წყალობით მეორედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

არგენტინის ნაკრების შედეგები მსოფლიო ჩემპიონატზე გაცილებით მოკრძალებულია ბრაზილიის ნაკრებთან შედარებით, მაგრამ კონტინენტის ჩემპიონატზე აშკარა უპირატესობა არგენტინელთა მხარეზეა. ისინი 12-ჯერ იყვნენ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონები.

იტალიის ჩემპიონატი გამოამჟღავნებს, შეძლებენ თუ არა არგენტინელები მსოფლიოში უძლიერესი გუნდის სახელის შენარჩუნებას.

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებიდან არგენტინის ნაკრები, როგორც ეს წესია, განთავისუფლებული იყო. ამ პერიოდში არგენტინის ნაკრებმა 11 საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა. მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში, რომელიც ბრაზილიაში გაიმართა. 7 შეხვედრაში არგენტინელებმა მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვეს. მათ ერთნაირი ანგარიშით (1:0) დაამარცხეს ჩილისა და ურუგვაის გუნდები, ხოლო პარაგვაის, ეკვადორისა და ბოლივიის ნაკრებებთან ფრედ, თანაც, ერთნაირი ანგარიშით 0:0, ითამაშეს. დამარცხდნენ ბრაზილიელ ფეხბურთელებთან — 0:2. არგენტინელებმა ამავე ანგარიშით მარცხი განიცადეს ურუგვაელებთანაც.

ამ შეხვედრებში არგენტინის ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდნენ მეკარეები: ფალსიონი (33 წლის), პუმპიდო (32), ისლასი (24), მცველები: კრავიოტო (26), კლაუსენი (27), სიმონი (19), ლორენსო (23), ბრაუნი (33), კუსიუფო (28), მენსონი (27), რუჯერი (27), დიასი (24), სულსონი (23), ოლარტიკოეჩეა (31); ნახევარმცველები და თავდამსხმელები: კორტი (26), აბრერა (26), ხიუსტი (33), ენრიკე (27), სიმეონი (19), კროგლიო (24), ბატისტა (27), ბასუალდო (26), ბურუჩაგა (27), გოროსიტო (25), კალდერონი (29), ბალბო (23), მორენო (25), კანიჯია (22), დეროტი (25), მასიელი (24), იარესი (24), ალვესი (21), მარადონა (29).

არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლოს ბილარდო ძირითად პრობლემად მიიჩნევს იმას, რომ მას არ შეუძლია საკუთარი სურვილის მიხედვით, როცა ნაკრებს საწვრთნელი თამაშები აქვს ჩასატარებელი, საზღვარგარეთის კლუბებში მოთამაშე არგენტინელი ფეხბურთელები მიიწვიოს.

მიუხედავად ამისა, მწვრთნელი მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი და იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატების იმედი აქვს. ბილარდო ძირითადად 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატების გამოცდილ ფეხბურთელებზე ამყარებს იმედს.

**გიგა გაჩავა.**




**ახლოვდება მსოფლიოს მე-14 საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, რომელსაც ასეთი ინტერესით მოველით სპორტის მოყვარულები. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ გამოუშვა ლამაზად გაფორმებული პლაკატი-აფიშა (ავტორი გ. კოდუა).**

**ფეხბურთის მოყვარულთ საშუალება მიეცემათ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებიდანვე თვალი მიადევნონ გათამაშებას, შეავსონ სატურნირო ცხრილები და ბოლო, ფინალურ მატჩამდე ნათელი წარმოდგენა იქონიონ ჩემპიონატის მსვლელობაზე.**

**„სპორტპროგნოზი“**

**მე-13 ტირაჟის შედეგები**

**(24-25 მარტი)**

1—2, 2—2, 3—1, 4—2, 5—1, 6—X, 7—X, 8—1, 9—1, 10—2, 11—1, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

მეშვიდე წყვილის შედეგი („პამირი“ — „ჟალგირისი“) განსაზღვრულია წილისყრით.



თბილისის ცენტრალური სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზირი, 2)

# 6 აპრილი ფეხბურთი

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

„იბერია“ (თბილისი) — იფკ „ხოლსუნდი“ (შვეცია)

დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთების გაყიდვა ორგანიზაციებში 4 და 5 აპრილს, სტადიონის სალაროებში — 4, 5 და 6 აპრილს დილის 10 საათიდან 19 საათამდე.

შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე.

აბონემენტები ძალაში არ არის.

# ვინ მოიპოვებს დევისის თასს?

**დევისის** თასის მეოთხედფინალურ მატჩებში მონაწილეობაზე უარი თქვა მსოფლიოს ბევრმა წამყვანმა ჩოგბურთელმა. მაგალითად, გფრ-ის ნაკრების შემადგენლობაში არ უთამაშია ბორის ბეკერს. ტრავმის გამო ვერ დაიცვა თავისი გუნდის ღირსება ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო ჩოგბურთელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მილოსლავ მეჩირჟმა. აშშ-ს ნაკრებს კი გამოაკლდა ანდრე აგასი. ამის გამო ზოგიერთ შეხვედრაში მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა.

პირველ ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ დევისის თასის ბოლო ორი წლის უცვლელი ჩემპიონის, გფრ-ის ნაკრების მარცხი არგენტინაში — 2:3. ავსტრიელებმა „მშრალი“ ანგარიშით დაამარცხეს იტალიის გუნდი — 5:0. ამერიკელებთან დამარცხების (1:4) შემდეგ ტურნირს გამოეთიშა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებიც, ავსტრალიელებმა კი დაძაბულ ბრძოლაში ახალზელანდიელებს აჯობეს — 3:2.

ნახევარფინალებში (21-23 სექტემბერი) ერთმანეთს შეხვდებიან: აშშ — ავსტრია და ავსტრალია — არგენტინა.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს სპორტსახკომი, მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორს მაია აზარაშვილს დედის

**ნანა ზაქარიას ასულ აზარაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-23, „[illegible]“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66485**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08779